

## დისტანციური კურსები სამოქალაქო საზოგადოებისთვის

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) აცხადებს მიღებას შემდეგ ონლაინ თვითმართულ (self-paced) კურსებზე:

- საზოგადოებრივი ორგანიზაციების გზამკვლევი
- პროექტის ლოგიკა მარტივად
- ლიდერობა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში

კურსებზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება დღეიდან და იწარმოებს ავტომატურ რეჟიმში. რეგისტრაციისთვის ეწვიეთ ბმულს <https://ctconline.ge/login/signup.php>

რეგისტრირებულ მონაწილეებს ამ სამ კურსზე წვდომა შეეძლება დაუყოვნებლივ.

დისტანციურ კურსებზე წვდომისთვის ეწვიეთ ბმულს <https://ctconline.ge/course/index.php?categoryid=11>

თითოეულ კურსზე დაშვებისთვის გამოიყენეთ შესაბამისი კოდი (enrollment key)

- დაშვების კოდი კურსისთვის „საზოგადოებრივი ორგანიზაციების გზამკვლევი“ - nonprofit
- დაშვების კოდი კურსისთვის „პროექტის ლოგიკა მარტივად“ - lideroba
- დაშვების კოდი კურსისთვის „ლიდერობა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში“ – project

თითოეული კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა ონლაინ სერტიფიკატი. მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება დამატებითი სასწავლო მასალა.

„დისტანციური კურსები სამოქალაქო საზოგადოებისთვის“ წარმოდგენილია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის დისტანციური კურსების პლატფორმაზე [www.ctconline.ge](http://www.ctconline.ge)

დისტანციური კურსები სამოქალაქო საზოგადოებისთვის შექმნილია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტის (ACCESS) ფარგლებში.

## კურსების აღწერა

### კურსი „საზოგადოებრივი ორგანიზაციების გზამკვლევი“

#### სამიზნე აუდიტორია

კურსი განკუთვნილია სამოქალაქო საზოგადოებითა და არაკომერციული ორგანიზაციებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. მათ შორის სტუდენტებისთვის და მათთვის, ვინც ახლა იწყებს მუშაობას არაკომერციულ ორგანიზაციებში, ან ახალი ჩართულია სამოქალაქო აქტივიზმში.

#### კურსის მიზანი

კურსის მიზანია მონაწილეებს სამოქალაქო საზოგადოებისა და არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ საბაზისო ცოდნა მიაწოდოს. კურსი წარმოადგენს ერთგვარ წინაპირობას არაკომერციული ორგანიზაციების მართვის, სამოქალაქო საზოგადოებისა და აქტივიზმის ჩაღრმავებელი სწავლების მსურველთათვის.

## კურსის თემები

1. სამოქალაქო საზოგადოება - ცნება და სამი ხედვა
2. სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო განვითარება
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ეკოსისტემა
4. მენეჯმენტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში I - მიმოხილვა
5. მენეჯმენტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში II - თავისებურებები და გამოწვევები

## კურსი „პროექტის ლოგიკა მართვად“

### სამიზნე აუდიტორია

კურსი განკუთვნილია მათთვის, ვისაც აინტერესებს შედეგზე ორიენტირებული განვითარების პროექტების დაგეგმვა-განხორციელება და სურს შექმნას საპროექტო იდეის დიზაინი ლოგიკური ჩარჩოს გამოყენებით.

### კურსის მიზანი

კურსის მიზანია მონაწილეებს გააცნოს პროექტის დიზაინის ინსტრუმენტები; დაეხმაროს მათ სოციალურ ცვლილებებზე მიმართული ინიციატივების ჩამოყალიბებაში და დასაბუთებული, რეალისტური, თანმიმდევრული საპროექტო განაცხადების მომზადებაში.

### კურსის თემები

1. პროექტი და მისი სასიცოცხლო ციკლი
2. სიტუაციური ანალიზი - დაინტერესებული პირები
3. სიტუაციური ანალიზი - პრობლემის ანალიზი
4. ცვლილებების თეორია - ეფექტების ჯაჭვი
5. ლოგიკური ჩარჩო
6. ინდიკატორები

## კურსი „ლიდერობა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში“

### სამიზნე აუდიტორია

კურსი განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს შეიტყოს ლიდერობისა და გუნდური მუშაობის შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონტექსტში.

### კურსის მიზანი

კურსის მიზანია მონაწილეებს გააცნოს ორგანიზაციული ლიდერობის, გუნდის ჩამოყალიბების, მოტივაციისა და ორგანიზაციული კონფლიქტის მართვის საფუძვლები.

### კურსის თემები

1. ლიდერობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში
2. გუნდური მუშაობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ჯგუფებში
3. კონფლიქტის მართვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში
4. მოტივაცია და უკუკავშირი